რ

იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი [illegible] ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 8
წელიწადი მეორე
—1913—
ხუთშაბათი, 10 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, მოსწიეთ პაპიროსი

„ა ნ ი“

15 ცალი 6 კ.
25 ცალი 2 შაურათ

აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

აბა, მოსწიეთ პაპიროსი

„ბელაია რომაშკა“

20 ცალი 1 შაურათ

აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე
1913

იმერეთი

წელიწადი მეორე
1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михаиловичу Хеладзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

გამართულია ხელისმოწერა 1913 წლის ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო გაზეთზე“ წელიწადი მეოთხე.

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთს 1913 წელსაც ექნება **სურათებიანი დამატება**
(კვირაობით)

პრემიად წლიური ხელისმომწერნი 1913 წლის განმავლობაში მიიღებენ

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები. ზომით არა ნაკლები 400 გვ. დაურიგდება იანვრის დასასრულს.

2) ქართველი მწერლები ზომით არა ნაკლებ 500 გვ. დაურიგდება ეკენისთვეში.

გაზეთის ფასი: როგორც თფილისში ისე, მის გარეთ ღირს წელიწადში ისევ 8 მანეთი 10 შ., ერთი თვით 15 შაურათ.

გაზეთის ფასი თფილისში და მის გარეთ წლ. 8 მ. 10 შ., 11 თ. 8 მან., 10 თ. 7 მ., 10 შ.: 9 თ. 6 მან. 5 შ., 8 თ. 3 მან., 7 თ. 5 მ. 5 შ., 5 თ. 3 მ. 5 შ., 4 თ. 3 მ. 3 თ. 2 მ. 5 შ., 2 თ. 1 მ. 10 შ. 1 თ. 15 შ. საზღვარგარეთ: წლ. 11 მ. 10 შ. 11 თ. 10 მ. 15 შ., 10 თ. 10 მ., 9 თ. 9 მ., 8 თ. 8 მ., 7 თ. 7 მ., 6 თ. 6 მ., 5 თ. 5., მ. 4 თ, 4 მ., 3 თ. 3 მ., 2 თ. 2. მ., 1 თ. 1 მ., ცალკე ნუმერი ყველგან შაურათ; დამატებიანი ნუმერი შვიდი კაპ. ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარეთ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 2 აბ. დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან. მხოლოდ სრული თვეებით.

ხელისმოწერა გამართულია. 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა, დილის 9 ს. საღ. 8 ს-დე უქმეებში დილის 11 ს-დან 3 ს. 2) ქ. შორის წერა კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა. ფოშტით: Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо газети“ поч. ящ. 190.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

на Еженедѣльный Общественно-Юридическій журналъ

„ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ.“

Журналъ „ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ“ будетъ выходить по слѣдующей программѣ: статьи юридическаго и общественнаго содержанія, фельетонъ, судебное обозрѣніе, хроника, заграничная жизнь, Государственная Дума и Государственный Совѣтъ, литературное обозрніе, информаціонный отдѣлъ, торгово-промышленная неделя почтовый ящикъ.

Особое вниманіе редакція журнала „ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ“ обратитъ на постоновку безплатныхъ отвѣтовъ на юридическіе вопросы подписчиковъ.

Въ журналъ „ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ“ принимаютъ участіе слѣдующія лица. *Б. Г. Бартъ, А. В. Бобрищевъ-Пушкинъ, Л. М. Брамсонъ, Л. Н. Бровковичъ, С. А. Бѣляцкинъ, Ф. А. Волькенштейнъ, В. Гейманъ, И. Гурвичъ, А. А. Захарьинъ, Т. О. Зейлигеръ, прив.-доц. М. М. Исаевъ, Н. П. Карабчевскій. Членъ Государств. Думы А. Ф. Керенскій, О. Я. Кобецкій, давидъ Койгенъ, Е. М. Кулишеръ, Г. В. Ланге, В. Н. Новиковъ, Н. Е. Озерецковскій, Стол. Мир. Судья Н. А. Окуневъ, О. М. Сигалъ, Б. С. Утевскій, С. С. Утевскій, М. І. Эттингеръ.*

При журналѣ откритъ постоянный отдѣлъ „На Кавказѣ“ при ближайшемъ содру[illegible]ничество А. Р. Церетели.

ПОДПИСНАЯ ПЛАТА: за годъ 5 руб., за 6 мѣс. 2 руб. 50 коп., за 3 мѣс. 1 руб. 50 коп. и за 1 мѣс. 50 к.

Годовые подписчики желающіе получать рѣшенія Кассаціонныхъ Департаментовъ Правительствующ. Сената и Общ. Собр. доплачиваютъ 1 р. въ годъ. Въ качествѣ безплатнаго приложенія подписчики будутъ получать о текущихъ судебныхъ процессахъ.

Адресъ редакціи и главной конторы: С.-Петербургъ, 3 рождественская, 24. Тепеф. №№ 125-89 и 58-64.

Изд. Б. и С. Утевскіе. *Ред. Г. В. Ланге.*

განცხადება.

წიგნების გამომცემელი

ქუთათური ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1913 წლის იანვრის 10 რიცხვს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია ხსენებული ამხანაგობის

საზოგადო კრება,

რომელმაც უნდა განიხილოს გამგეობის მოქმედების ანგარიშები და მოახდინოს თანამდებობის პირთა არჩევნები.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა

საგანგებო გამომცემლობა

ამით აცხადებს, რომ საკვიტანციო წიგნაკი № 72, (კვიტანციები 711—720-დე) დაკარგულია და ამ კვიტანციებით წიგნის მიღება არ შეიძლება.

კ ბ ი ლ ი ს
ექიმი ა. დ. აბაშიძის ასული ჭიჭინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას ახლი.

ბებია ქალი
ო. დონდუას ასული
ექიმ კეკელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.
პუშკინის ქუჩაზე გიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ვ. ი. ფუჩინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

ექიმი. ვ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ПАПИРОСЫ
ГОЛУБКА 10 шт. 3 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ПАПИРОСЫ
ЭКСТРА
15 шт. 6 коп.
ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ
А·ЭНФІАДЖІАНЦА
ПАПИРОСЫ
„ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ“
ЦѢНА
25 шт. 15 к.
10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ექიმი ი. ჩარექოვი.
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

დღიური

დიდმა სახელმწიფოებმა ოსმალეთს ნოტა უკვე ჩააბარა. სახელმწიფოები მოითხოვენ—ოსმალეთმა ომიანობაზე ხელი აიღოს, ადრიანოპოლი ბულგარეთს დაუთმოს, და კუნძულების საკითხის გადაწყვეტა მათ მიენდოს.

— ნოტას ოსმალეთის მინისტრთა საბჭო ამ ორ დღეში განიხილავს.

— ოსმალეთს ბულგარეთიც წარუდგენს ნოტას. ბულგარეთი პასუხისათვის განსაზღვრულ დროს დაუდებს და თუ ამ დროში პასუხი არ მიიღო საომარ მოქმედებას განაახლებს.

— ავსტრიის დიპლომატიურ წრეებში იმედი აქვთ—რუმინია და ბულგარეთი შეთანხმდებიან. შუამავლობა ავსტრიამ იკისრა.

— ავსტრია ჯარის მობილიზაციას მანამდი არ მოსპობს, სანამ სერბია ყველა მის ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს.

— ავსტრია სერბიის საზღვარზე დიდძალ ჯარისკაცს თავს უყრის.

— ხმაა—თებერვლის ამნისტია ცნობილ ლოპუხინს გაათავისუფლებსო.

— სახალხო განათლების მინისტრმა კასომ კიევის უნივერსიტეტს ნება მისცა ამ უნივერსიტეტში ორი ქალი მიიღონ—პირველი მატემატიკურსა და მეორე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე; ორივე პროფესორობისათვის ემზადებიან.

— სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა.

— სევასტოპოლში ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებს. გემთა მიმოსვლა შეწყვეტილია.

— ნოვოჩერკასის მიდამოში შავაჭირი მძვინვარებს.

— საფრანგეთის ახალი კაბინეტი: პრეზიდენტ-მინისტრი—ბრიანი; მიწათმოქმედების—ფერან, კოლონიების—ჟან მორელ, ზღვათა—ბოდენ, სამხედრო—ეტიენ, განათლებისა—სტეეგი, იუსტიციის—ბარტუ, ფინანსისა—კლოც და საზოგადო საქმეთა—ჟან დიუპიუნ.

რა ტიპის ბანკი უნდა დაარსდეს?

საერთო აზრი ის არის, რომ დროებით-ვალდებულთა თავდასახსნელი ფულით, რომელიც თავადაზნაურობას ხაზინიდან მიეცემა, იმისთანა ბანკი დაარსდეს, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ააყვავოს. ბ. ს. ქვარიანის ფიქრით კი საჭიროა, ამ ბანკმა გლეხებს მამულის შეძენის საშვალებაც გაუადვილოს.

სვ. ქვარიანის აზრი შეუძლებელი არ არის. ამგვარი ბანკი რუსეთში კაი ხანია მუშაობს. და ჩვენში რომ აგერ ახლა სახელმწიფო საგლეხო ბანკი დაარსდა, მისი მიზანი მარტო რუსების გადმოსახლება კი არ არის, არამედ ჩვენს გლეხებსაც უნდა შეეწიოს და გაუადვილოს მამულის შეძენა. და, თუ ბანკის მოხელეები თავის მოვალეობას არ ასრულებენ, ეს ხომ ბანკის წესდების ბრალი არ არის.

ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ მართებლობას: ჩვენ გვინდა იმგვარივე ბანკი დავაარსოთ, როგორიც სახელმწიფოს დაუარსებია; ეს ბანკი იმავე მიზანს ემსახურება, როგორსაც საგლეხო სახელმწიფო ბანკი ჩვენი მიზანია გლეხებს დავეხმაროთ, საშვალება აღმოუჩინოთ, რომ მამული შეიძინონ და სხ.

მაგრამ ნუ დავარქმევთ ამ ბანკს „საეროს“, „ქართულს“. სხვაგვარათ იფიქრებენ, ვიწრო ეროვნულ-პოლიტიკურ მიდრეკილებას დაგვწამებენ და ბანკის დაარსების უფლებას არ მოგვენიჭებენ.

დე, იყოს ეს ბანკი საგლეხო ბანკი, რომელსაც მიზნათ ექნება შეაძენინოს მიწა საზოგადოთ გლეხს: ქართველს, ოსს, აფხაზს, ჩაჩანს, რუსს თუ სომეხს.

როდესაც ბანკის ფუნქციას ასე გავაფართოებთ. მაშინ მას მეტი საერთაშორისო მნიშვნელობა და ნდობა ექნება. ბანკი სავაჭრო ორგანოა და, მაშასადამე, მჭიდროთ შეკავშირებულია სხვა საკრედიტო დაწესებულებებთან, ჩვენმა საგლეხო ბანკმა რომ მარტო ქართველი გლეხები გაიჩინოს კლიენტებათ, ცხადია, მისი რენტა რუსეთის ბირჟაზე ნდობას ვერ მოიპოვებს და, ვფიქრობ, ასეთს ბანკს დიდი ხნის სიცოცხლე არ ექნება.

მერე კიდევ: ბანკის მოქმედების ასპარეზი რაც უფრო დიდია, მით უკეთესია. და ჩვენი საგლეხო ბანკის მოქმედების რაიონი თუ მარტო ქუთაისისა და თფილისის გუბერნიების საზღვრებით იქნება შემოფარგლული, მისი ოპერაციები ვერ გაიზდება, ვერ განვითარდება. და მგონია კი, რომ ეს ოპერაციები მთელს ამიერ კავკასიაზე უნდა გავრცელდეს.

ამას გარდა ბ. ს. ქვარიანმა არ აღნიშნა განსხვავება სხვილსა და წვრილ სამელიორაციო კრედიტს შორის.

გერმანიაში და აგრეთვე სხვაგან, სადაც კი სამელიორაციო კრედიტი განვითარდა, ბანკი აძლევს სესხს სასოფლო ამხანაგობათ სარწყავი არხების გასაყვანათ, ჭაობების დასაშრობათ, მდინარის ნაპირების გასამაგრებლათ და სხ. სოფლის საზოგადო კრების წევრთა უმეტესობამ თუ დაადგინა სესხის აღება, უმცირესობის უთანხმოებას ძალა არ აქვს: სოფელს სესხი მიეცემა და მთავრობა გადაახდევინებს ნაწილ-ნაწილ თავნსა და სარგებელს, როგორც სახელმწიფო გადასახადს. ამიტომ ამგვარი ბანკის გაკოტრება შეუძლებელია.

ჩვენს ბანკს რომ ეს უფლება მოვუპოვოთ, მთელი საქართველო მოკლე ხანს სარწყავი არხებით დაისერება. დაშრება აგრეთვე საშინელი ჭაობები, შეგვეძინება ახალი მოსავლიანი ადგილები, გადავარდება ჯანმთელობის გამანადგურებელი ციებცხელება და სხ.

აღსანიშნავია აგრეთვე უპირატესობა, რომელიც საზოგადოთ სამელიორაციო ბანკს ეძლევა. მემამულეს რომ სხვა ბანკშიც ქონდეს მამული დაგირავებული, სამელიორაციო ბანკს მაინც აქვს უფლება მიაწოდოს სესხი მამულის გასაუმჯობესებლათ. ამასთანავე ბანკს ყავს თავისი ჰიდროტეხნიკები და აგრონომები, რომელნიც ეხმარებიან მემამულეს და აწოდებენ ბანკს ცნობას, რა გაუმჯობესება შეიძლება რომელსმე მამულზე და რამდენათ მოიმატებს გაუმჯობესებული მამულის ფასი.

მეორე დიდი უპირატესობა კიდევ ის არის, რომ, როდესაც შეუძლებელ მოვალეს გაეყიდება მამული, რომელსაც ადევს სამელიორაციო ბანკისა და უბრალო საადგილმამულო ბანკის ვალები, ჯერ სამელიორაციო ბანკი უნდა დაკმაყოფილდეს და მერე უბრალო საადგილმამულო ბანკი. რატომ უთმობს სახელმწიფო სამელიორაციო ბანკს ამდენს უპირატესობათ? იმიტომ, რომ მამულების გაუმჯობესება ამდიდრებს სახელმწიფოს და, მაშასადამე, ხაზინასაც.

ამ მიზეზების გამო სამელიორაციო ბანკს დიდი ნდობა აქვს, მეტი, ვიდრე უბრალო საადგილმამულო ბანკს. ამგვარი ბანკი დიდ ფულს იზიდავს, მისი რენტა ყოველთვის ძვირათ ფასობს.

მე ვფიქრობ, საჭიროა ჩვენს ბანკს ხსენებული უპირატესობანიც ქონდეს და საგლეხო ბანკის ფუნქციებსაც ასრულებდეს.

ჩემი წინადადება ეს არის:

1) საჭიროა, სათავადაზნაურო კრებამ დაიყოლიოს თავადაზნაურობა, რომ 25°/o გამოსატანი ფულისა მაინც დასტოვოს ამ საშვილიშვილო საქმისთვის.

2) უნდა არჩეულ იქნას კომისია, რომელმაც ზედმიწევნით უნდა შეისწავლოს როგორც გერმანიის სხვილი სამელიორაციო ბანკების წესდება, აგრეთვე წვრილი სამელიორაციო ბანკების წესდებანი, და შეადგინოს იმგვარი წესდება, რომელიც ადგილობრივ პირობას უკეთ შეეფერება.

3) თფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ ერთი ბანკი უნდა დააარსოს, რადგან, რაც მეტი იქნება ძირითადი თანხა, მით მეტი ნდობა ექნება ბანკს და უფრო ადვილი იქნება ფულების მოპოვება.

4) როდესაც წესდება დამზადებული იქნება, უნდა მიენდოს მარშლებსა და საგანგებოთ არჩეულ კაცებს უფლების მოპოვება.

ვასილ წერეთელი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

„სახალხო გაზეთში“ შემდეგი ღია ბარათია დასტამბული დეპუტატ ვ. გელოვანის მიმართ:

ჩვენ, ქვემო ხელის მომწერნი ქ. ვარშავის ქართველი სტუდენტები დღიდან თქვენი სახელმწიფო სათათბიროს წევრათ არჩევისა გაფაციცებით ვადევნებდით თვალ-ყურს ყოველს თქვენს მოქმედებას, ყოველს თქვენს სიტყვა-პასუხს. აღტაცებით მივეგებეთ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმულ თქვენს სიტყვას. თქვენს სიტყვაში, როგორც სტენოგრაფიულ ანგარიშიდან სჩანს, სასტიკათ გმობდით რუსეთის ბიუროკრატიის პოლიტიკას. იმავე დროს მოუწოდებდით რუსეთის ხალხს და ინტელიგენციას საქართველოს უფლებათა აღდგენისთვის და სხვადასხვა. ყველა ეს და ის, რასაც თქვენს სიტყვაში დასაბუთებით შეეხეთ, ჩვენს ღრმა რწმენას და გულის თქმას შეადგენს, და ამისთვის გთხოვთ ჩვენი გულ-წრფელი სალამი მიიღოთ, ბ-ნო ვარლამ!

კვლავაც ვიმედოვნებთ, არ შეუდრკებით არავითარ დაბრკოლებას და მედგრათ განაგრძობთ სამშობლოს წინაშე მოვალეობის ასრულებას.

სტუდენტები: გ. ტყემალაძე, ვ. ახვლედიანი, ნ. მეიშვილი, მ. ხირსელი, ვლ. ფხალაძე, ა. შანიძე, ნ. თუხარელი, ს. გალუსტოვი, მ. ბერძნიშვილი, ვლ. მაჭავარიანი, ტ. ვეფხვაძე, შ. სანიკიძე.

ვარშავა, 1912 წ. 30 დეკემბერი.

✦ წასული წლის აპრილში პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში გიორგი მეფარიშვილს წაუკითხავს რუსულად რეფერატი შემდეგ თემაზე: „დეტერმინიზმი ანუ ნების უთავისუფლობა.“ ამ რეფერატს დიდი ინტერესი და ხანგძლივი კამათი გამოუწვევია დასწრეთა შორის. სხვათა შორის პროფესორ ს. ო. გრუზენბერგსაც გძელი სიტყვა უთქვამს ამ რეფერატის გამო. რეფერენტი მადლობითა და ტაშის ცემით დაუჯილდოებიათ: რეფერატი განსაკუთრებით მოსწონებიათ პროგრესიულ ჯგუფთა წარმომადგენელთ და გამოუთხოვიათ ეს შრომა ავტორისაგან დასაბეჭდათ რუსულ ენაზე.

ხსენებული საკითხის გადაჭრილ ახსნას, ავტორის აზრით, აქვს არა მარტო მეცნიერულ — ფილოსოფიური ინტერესი, არამედ დიდი პრაკტიკული მნიშვნელობაც, ავტორი თავის შრომაში ნების საკითხს იკვლევს პრინციპიალურათ და სდგას ყოველი ავტორიტეტის გარეშე. რეფერატი შეიცავს ორს ნაწილს: თეორეტიულს და პრაკტიკულს. ეს შრომა ბ. გიორგი მეფარიშვილს ქართულად შეუდგენია და ფიქრობს ამ მოკლე ხანში ქუთაისში წაიკითხოს.

✦ დაბა ზესტაფონში გუშინ წინ მოკლეს ბოქაულის თანაშემწე სვანიძე. სვანიძე ბუფეტიდან გამოუხმიათ ჟანდარმებს რაღაც ოქმზე ხელის მოსაწერათ. ბაქანზე მას შეუნიშნავს ვიღაც უცხო კაცი და უკითხავს ვინაობა. იმასაც უთქვამს, მე აქვე ვემსახურები ერთ ექსპორტების კანტორაშიო, წამობძანდით და გაიგეთო. სვანიძეს თავი დაუნებებია მისთვის და წასულა საქმეზე. ცოტა ხანს შემდეგ მიმავალ სვანიძეს უკნიდან მივარდნია ბოროტ-გამზრახველი, და რამდენჯერმე დაუხლია რევოლვერი და იქვე მოუკლავს.

✦ ქალ. ქუთაისის ღალის ზედამხედველი აცხადებს, რომ თუმცა ამ იანვრის 7-ს შესრულდა ვადა ბინებსა და მობინადრებზე განცხადების შემოტანისა, მაგრამ თებერვლის პირველამდე ამ განცხადების შეტანა კიდევ გაგძელდება და წინადადებას აძლევს ყველას ღალის საქმე გაასწორონ, რომ დაგვიანებისათვის ხუთ თუმნამდი ჯარიმა არ გადახდეთ. ღალის ზედამხედველი ამგვარათვე აფრთხილებს ვაჭრებსა და მწარმოებელთაც.

✦ ხვალ, პარასკევს საღამოს შავიქვის დარბაზში ქალთა წრის მორიგი კრებაა დანიშნული, ბ. ს. ქვარიანი საუბარს გამართავს ქართულ ისტორიიდან.

✦ ქართულ გიმნაზიის მოწაფეებმა თფილისს სამძიმრე ბარათი გაუგზავნეს განსვენებულ შალვა ნათაძის ძმას მათს ყოფილ მასწავლებელს გიგო ნათაძეს.

✦ წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებამ თავის სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების თვალყურის მდებლათ მოიწვია ბ. დოლაბერიძე.

✦ გუშინ ადგილობრივ სატუსაღოდან ტყვეები გაიქცენ, პოლიცია და ჯარები ფეხზე დადგენ დილიდან და ძებნა-ჩხრეკა იყო ქალაქსა და მის მიდამოში, დაწვრილებით ცნობები ჯერ არაა.

✦ ოზურგეთის მოურავათ 7 იანვარს ერთხმათ აირჩიეს ან. ღულაძე.

✦ ბათომის ქალაქის გამგეობას სამჯერ ქონდა სხდომა ქალაქის შკოლებში სამოსწავლო პროგრამის შეცვლის გამო. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ მის მიერ დამტკიცებული 1881 წ. სამოსწავლო პლანი დარჩენილ იქნეს ძალაში.

✦ ბათომში 14 იანვარს ჩვეულებრივი საღამო გაიმართება. საღამოდან შემოსული ფული წ. კ. საზოგადოების იქაურ განყოფილების შკოლას მოხმარდება.

✦ პეტრე-პავლეს ქუჩაზე ამ ორი დღის წინათ კოსტავას მაღაზია გაქურდეს. ქურდებს ნივთები და ხუთი მანეთი წაუღიათ. ქურდებისათვის პოლიციის მაძებარ ძაღლებს მიუგნია, ნივთები აღმოაჩინეს და ქურდები დააპატიმრეს.

✦ წვრილი კრედიტის ინსპექტორს ჯაფარიძეს განუზრახავს სვანეთში წვრ. კრედიტის საზოგადოებათა გახსნა.

მოწერილი ამბავი.

სამიქაო, (ოდიში).

სოფლელებს უნდათ ორკლასიანი სამრევლო შკოლას ახალი შენობა აუგონ: ამის შესახებ სოფელს რამდენიმე ყრილობა ქონდა. შენობა არა ნაკლები ორიათასი მანეთისა დაჯდება. თვითოეულ კომლს მოუწევს დაახლოვებით 19—20 მანეთის გადახდა.

ადგილობრივი ღვდელი მ. დ—ია ძლიერ თვითნებობს, ერთხელ ეკლესიაში ლოცვის დროს ბავშმა რაღაც იცელქა, სულიერი მამა მივარდა ბავშს, დაუწყო ცემა გინება და კინწ-ს კვრით გარეთ გამოაგდო. დ—ლის ამგვარმა მოქმედებამ ხალხი ძლიერ ააღელვა.

აქაური სოფლის მწერლებიც ვერ იქცევიან კარგათ. გლეხი რომ მათთან რჩევის მისაღებათ ან თხოვნის დასაწერათ მივიდეს, იბრიყვებენ და 15 შაურს ზედმეტს ახდევინებენ ვითომდა მარკის ფულათ.

დიდი-ჯიხაიში (ქვემო იმერეთი)

ადგილობრივი მასწავლებლები პედაგოგიურ ჭეშმარიტებას უტიფრად ღალატობენ. ამ ღალატით უნდათ გროზდოვ-კრუპსკების გული მოიგონ და ჩინ-ორდენებით დაჯილდავდენ. დიდ-ჯიხაიშის შკოლის მასწავლებლები მოწინავე ელემენტებათ ითვლებიან სოფელში. ამ „მოწინავე ელემენტებმა“ გროზდოვის არა-პედაგოგიურ მოთხოვნილებას დიდი სიამოვნებით მიეგებენ. გროზდოვის წინადადების გაზეპირებით ბავშებს გონებას უჩლუქებენ. ამ ვაჟბატონების ქართველობა მხოლოდ პრტყელ-პრტყელ სიტყვებში გამოიხატება.

თფილისი.

თფ. საგუბერნიო კომიტეტმა გადაწყვიტა სანერგეებიდან შიდა კახეთში გაგზავნოს ამერიკული ვაზის თითო წლის ნერგი. რადგან გამოირკვა, რომ ეს მხარე ფილოქსერის მხრივ არ არის უშიშარ მდგომარეობაში.

✦ თფ. ბოტანიკური ბაღის დირექტორი ვ. სავიჩი ერთი წლით საზღვარგარეთ იგზავნება იქაურ მცენარეთა დამყნა გაშენების და წამლობის შესასწავლათ. ბ. სავიჩი შემოივლის დასავლეთ-ევროპას და ჩრდილო-ამერიკას, იქიდან დაბრუნებისას ბ. სავიჩი იმუშავებს ბუხარაში, იქაურ ფლორისა და ფაუნის გამოსარკვევათ.

✦ თფილისის ბირჟაზე რვა იანვარს შეთანხმება არ მომხდარა. ფასები პროცენტიან ქაღალდებისა ასეთი იყო: თფ. საქალაქო საკრედიტო საზოგადოების 5 პროც. ობლიკაციები: გამყიდველები—85 მ. 10 შ. მყიდველები—84 მ. 15 შ. თფ. სათ.-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის 5o/o საგირავნო ფურცლები: გამყიდველები—83 მან. მყიდველები—82 მან. 3 შ. ქუთაისის მიხეილის სახელობის სათ.-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის 5 პროც. საგირავნო ფურცლები: გამყიდველები—78 მ. 10 შ. მყიდველები 77 მ. 3 შ.

✦ თფ. საბალოსნო შკოლაში წყალსადენის მოსაწყობათ შედგენილია 60000 მანეთის ხარჯთაღრიცხვა.

✦ ფოთის ქალაქის თავის მოადგილის კანდიდატათ ბ. იონა მეუნარგიას ნაცვლათ სხვათა შორის, ასახელებენ თავ. იასონ ვარადებულის-ძე აფაქიძეს, რომელიც ნამესტნიკის კანცელარიაში მსახურებს. იგი შვილია მაზრის წინამძღოლათ ნამყოფი თავ. ვარადებულ აფაქიძისა, რომელსაც მექრთამეობისათვის სასამართლოსაგან თანამდებობიდან გადაყენება და ორი წლის საპყრობილე აქვს მისჯილი ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევით.

სოხუმი.

✦ შესდგა წრე, რომელიც მოკლე ხანში, სოხუმში გამოსცემს ქართულ ყოველდღიურ გაზეთს. გაზეთი უპარტიო იქნება და მიზნათ ექნება დაიცვას ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები, ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს წრეს თ-მა ნ. ყ. თავდგირიძემ და სხვა მოწინავე ქართველობამ რედაქტორათ მოწვეულია ახალგაზდა მწერალი ლადო გეგეჭკორი.

ს. გ.

„მერცხლის“ „პუბლიცისტის“ საპასუხოთ.

„მერცხლის“ მეოთხე ნუმერში მოთავსებულია წერილი „სახალხო გაზეთის“ „მუშა“ საპასუხოთ სადაც ავტორი გაკვრით ეხება ლეჩხუმელ გლეხს. ძალიან მიკვირს, რომ ამ გლეხის გლახათ ხსენება მათ არ აწითლებს, და უსირცხვილოთ ცდილობენ როგორმე ნდობა დაუკარგონ ფრუიძეს მის მოძმეთა შორის, რომელთათვისაც ის მუდამ თავგამოდებით იბრძოდა, ხშირათ შეურაცხებაც მიუყენებიათ და თვისი რწმენა სხვისი კარნახით მაინც არ გაუხრია. როდესაც საკუთარი შეგნებით დარწმუნდა რომ ის ჯგუფი, და მოძღვრება, რომელსაც იგი ცხრაას ხუთში ძალუნებურათ აეტორღიალა, ხელსაყრელი არ იყო მისთვისა და მის მოძმეთათვის, მან უარყო იგი და იმათ მიემხრო, ვისაც შეჭირდა ქართველი გლეხისა და ვინც მუდამ იცავდა და იცავს გლეხის ინტერესებს. „მერცხლის“ „პუბლიცისტი“ ჰბძანებს — „ლეჩხუმის გლეხობამ კი აშფოთება და ზიზღი უძღვნა და მოღალატეთ მონათლა თავის, წარმომადგენელიო.

გასაკვირალი საქმეა! კიდევ ხმას იღებენ იმ წერილებზე და ზიზღზე, რომელიც მათ „არჩევნებში“ მოათავსეს ლეჩხუმელი გლეხების მაგიერ!! ვიცით, ბატონებო, რაც ჩაიდინეთ ლეჩხუმში, რა ღონესაც მიმართეთ. განა დასელების მოღვაწენი არ იყვნენ, რო ლეჩხუმისაკენ გაემგზავრენ, როდესაც ფრუიძემ გაზეთის საშვალებით გამოაცხადა კ. აბაშიძის მომხრეებმა?! ამით ძალა დაატანეს ამომრჩევლებს და ათქმევინეს ის, რაც მოუხდებოდათ?! განა ამას თვით გიგო ხეცურიანი არ აღიარებს, რომ მას ძალით მიაწერიეს წერილი ფრუიძესთან!? განა თითონ არა სთქვა, რა სასტიკათაც ემუქრებოდენ, თუ დასელების სასარგებლოთ არ ილაპარაკებდა?! ამას ბ. მ. ხეცურიანი ვერ დაფარავს, არა ერთხელ უთქვამს ეს რამდენიმე პირთან. იქნება, იმათი ვინაობაც ესაჭიროებათ გამოვაქვეყნოთ, ვინც იმ ხანებში ლაძრწოდენ და გლეხებს ემუქრებოდენ, და თვით ფრუიძესაც მიმართეს მუქარით და აშინებდენ, — არ გაბედო, არ ჩამოხვიდე ქუთაისში... მაგრამ ფრუიძე ვერ დააშინეს მუქარებით და ესაა, რომ გულზე ასიებს მათ. დიახ, გლ ხმა ფრუიძემ პირნათლათ აღასრულა თავის ვალი და თუ კვლავაც არ მოშლით მასზე კამათს, იმათზედ მის ამრჩეველ გლეხებზე ქარების თხზვას, იცოდეთ — გამომზეურდება ბევრი რამ, რაც თქვენს საქციელს ძალიან საეჭვო ნათელს მოფენს... თუმცა ესეც კია — ამ გამომზეურებას რო მორიდებოდით, საქმე ბევრათ წინ წავიდოდა. რაც მართალია — მართალია!

შ. ცეწუძელი.

უსამართლობის ნიმუში.

(დორპატის ტრაგიკული შემთხვევის გამო).

ქართველთა ცხოვრების ჩარხი დღეს უკუღმა ტრიალობს, იგი თავისებურათ არის მოწყობილი და დროსა და გარემოებას არ ეგუება.

ყოველი ერისათვის დღეს ცხადი გამხდარა, რომ მხოლოდ ეროვნული თვითშემეცნება და ეროვნული კულტურის საქმით სამსახური იხსნის თვითოეულ მათგანის თავისებურობას განადგურებისაგან და მომავლის სახელმწიფოში განსაკუთრებულ ადგილს დაუმკვიდრებს; ქართველი ხალხი კი აგერ 100 წელიწადია, რაც ამ აზრს გამოთხოვებოდა და მარტოოდენ იმის ცდაში იყო, რომ მეორე ძლიერი ერის, მისი ბატონ-პატრონის კულტურას ზიარებოდა და უკანასკნელის სახე მიეღო სავსებით.

დღეს ვითარება ოდნავ მაინც შეიცვალა. მაგრამ ჩვეული უკუღმართობა მაინც არ წაშლილა. როცა სხვა დაჩაგრებული და პოლიტიკურათ დამონებული ერები შეერთებულის ძალებით იღწვიან და ეროვნულ იდეალის პრინციპს შეს-ფერ რეალურ მსვლელობას აძლევენ, როცა ყოველ სიტყვას ერთსულოვანათ საქმეთ ხდიან, — ჩვენ „ჩვენებურათა-ძველებურათა“ მარტოოდენ მაღალ ლოზუნგებს ვამზევებთ, დიდ იდეალებზე გავიძახით და ჩვენი საქმიანობაც ამით თავდება.

რამდენი კეთილი და მართლაც საყურადღებო საკითხი არ აღძრულა ჩვენს საზოგადოებაში და პრესაში, რამდენჯერ ამ საქმის მოსაგვარებელი გზაც გაუთვალისწინებიათ და მისი რეალურ განსახორციელებლათ დეტალური პლანიც კი დაუსახავთ. მერე? მერე ისა, რომ მათ ჩაილურის წყალი დაულევიათ და ამ საბედისწერო ქაღალდზე მომკვდარან. იქ, სადაც უცხოელთათვის საქმე მხოლოდ იწყება, ფეხს იდგამს, ჩვენთვის დამთავრებულათ არის მიჩნეული. ასეთი უკუღმართია „ჩვენი ცხოვრების დღენი“, ასეთი მრუდეა ქართველთა გზა. რა თქმა უნდა, ეროვნული პრინციპის აშკარათ აღსარებაც ხანგრძლივ ძილს შემდგომ, პროგრესიული მოვლენაა, მაგრამ თუ ამას იქით ფეხი ველარ გადავდგით და გონების ინტენსიურ მოძრაობას, რეალური აქტის სახე არ მივეცით, ჩვენი ყოფა უფრო ტრაღიკულათ იქცევა; ამ პროცესით მხოლოდ ტკივილებს ვიგრძნობთ უფრო აშკარათ და მწვავეთ.

ასეთ დროს თუ სადმე თითო-ოროლა ენერგიულათ მომუშავე ეროვნულ ჯგუფს შევამჩნევთ, უნდა სიხარულით აღივსოთ და თანაგრძნობით მიეგებოთ მათ. მით უმეტეს ქართველ ახალგაზრდობასა და სტუდენტობას მართებს განსაკუთრებული ენერგიით ხელი მიყოს სამშობლოს შობლის სამსახურს და შეემზადოს, რომ მომავალში მისმა მამულმა ღვიძლი შვილი საკუთარ მკერდზე ჩაშობი გერათ არ იგრძნოს და გულცივათ არ შეეგებოს. წინათ რომ ამგვარი რამე გამოეთქვა ვინმეს გარადოქსათ ჩაუთვლიდენ, რადგან მაშინ შობილი მშობელს ეკუთვნოდა და მის წიაღში იზდებოდა; დღეს კი ნახევრათ პადაგვარებული ქართველი ახალგაზდობის ამგვარი შრომა სასიხარულოა და სასარგებლოა მთელი ჩვენი მომავლისათვის.

მაგრამ ხშირათ მარტოოდენ შეუმცნებელ წყურვილსა და ცარიელ სურვილს ამჩნევთ ამ ახალგაზდობას, განსაკუთრებით სტუდენტობას, რადგან, ცუდ პირობებში აღზდილს ძალა არ შესწევს სურვილი რეალურათ განახორციელოს.

ასეთ დროს ზოგიერთი სტუდენტ-ჯგუფები პირდაპირ გამოდიან სწორ გზაზე და აზრს საქმით ამტკიცებენ. ეხ

არიან პირველი მერცხლები, ჩვენი ერის განათლების წინამორბედნი და სწორეთ მათ ესაჭიროა ქართველი ერის თანაგრძნობა და კავშირი, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ მათ უსაფუძლო საყვედურით ვეგებებით, აშკარათ ვგმობთ და საშინელ ცილსაც კი ვწამებთ; რა თქმა უნდა ასეთი გულცივობა და უსაფუძლო საყვედური ამ ნორჩ თაობასაც იმედს უკარგავს და კეთილ საქმეზე გულს უცრუებს.

როცა ამას ვსწერ, განსაკუთრებით დორპატელი ქართველობა და კერძოთ დორპატის ქართული სათვისტომო მყავს სახეში.

ბევრგან დავკვირვებივარ ჩვენს სტუდენტობას და სწორეთ არსად შემიმჩნევია ასე მჭიდროთ და ერთსულოვნათ შეკავშირებული ქართველთა ჯგუფი, როგორც დორპატის სათვისტომოა; ეს შეიძლება განსაკუთრებულ პირობებით აიხსნეს, ბიუროკრატიულ რეჟიმის უსიცოცხლო ნიშნებით და საკმაო თავისუფლებით სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებთან.

ეროვნული პრინციპის აღმსარებელი ქართველი ახალგაზრდობა ისე აშკარათ და გაბედულათ არსად გამოდიოდა, როგორც ქ. დორპატში.

სათვისტომოების უმთავრესი მიზანი ყველა სხვა ქალაქებში ეკონომიური დახმარება წევრებისა, ხოლო დორპატში, რამდენათაც გამიგია, ეგ მიზანი იმდენათ მნიშვნელოვანი რდოია, როგორც მეორე—ეროვნული იდეის სამსახური. დორპატის ქართული სათვისტომო ორი სახით მოქმედებს და მუშაობს. პირველი სახის მუშაობა უფრო შინაურია, აქ იგი იყოფა სხვ. და სხვ. წრეებათ და სექციებათ, რომლებიც თვის წევრებს ამზადებს ქართულ ისტორიაში, ლიტერატურაში, საზოგადოთ მწერლობაში და სხვ. აქ იგი მართავს რეფერატებს, ლექციებს, საუბრებს და სხვ. ქართულს ენაზე; მეორეს მხრით კი იგი ცდილობს გააცნოს ქართველთ ვითარება და კულტურა უცხო ერის შემადგენელ ახალგაზრდობას, რომლის შემადგენლობა ასეთი მრავალფეროვანია ქ. დორპატში (რუსები, გერმანელები, ესტები, ფინები, პოლონელები, უკრაინელები, ლიტველები, ლატიშები და სხვ.), საამისოთ იგი მართავს ყოველწლივ დიდ სალამოს ქალაქის საკრებულოში, ხოლო სათვისტომოს შენობაში (დორპატში სათვისტომოს საუკეთესო ადგილას საუკეთესო შენობა აქვს ნაქირავები 4 ოთახიანი სათვისტომოსავე საკუთარის ავეჯით) მართავს ლექციებს, რეფერატებს, კონცერტებს, სდგამს პიესებს, მართავს იუბილეებს (თამარის, ილიას ორჯერ ვახ. ორბელიანის და სხვ.), აწვდის ინტერესებულ პირს საქართველოს შესახებ ცნობებს და მასალებს. სათვისტომოს აქვს მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა, მოუდის ყველა ქართული გამოცემა და მრავალი რუსულიც... ყველა ამის გარდა, იგი მატერიალურ დახმარებას აძლევს ყოველწლივ ღარიბ ქართველ ახალგაზრდობას.

სხვა რა გვინდა მოვთხოვოთ ახალ თაობას, რომელიც ჩვენ დუხჭირ პირობებში იზრდებოდა? იგი მთელ თავის ძალ-ღონეს ხმარობს, რომ თანდაყოლილი სიმახინჯე გაასწოროს და თვისი გადაგვარება მოუშალოს, რომ სამშობლოს სამსხვერპლოზე წმინდათ შეეწიროს.

აგერ 15 წელიწადია მუშაობს ქართული სათვისტომო და ამ ხანებში მტკიცეთ ადგა თავის გზას, ბევრჯერ მოინდომეს მისთვის ძირის გამოთხრა, როგორც მთავრობამ, აგრეთვე კოსმოპოლიტურ იდეებით გატაცებულმა ქართველმა ახალგაზრდობამაც; მაგრამ დღემდი რამდენა [illegible], ვერაფერი ავნეს მას, წინააღმდეგ ამ ბოლო წლებში იგი შეუდარებელი ძლიერებით გაიფურჩქნა და გაიზარდა და აი, სწორეთ მისი ამგვარი იდეურ მტრებს ძილს უფრთხობს, მოსვენებას არ აძლევს და უკანასკნელნიც ცდილობენ რაიმე ისეთი გამოძებნონ, რომ სათვისტომოს ჩირქს მოსცხებს და უგრძნობ ქართველ საზოგადოებას ჩააგონებს. მათ საამისო საბაბი პოვეს და საზოგადოებისაკენ ბადე გადაისროლეს, უკანასკნელიც გულუბრყვილოდ და მოუფიქრებლათ გაება მის ბადეში. დღეს დორპატის ქართული სათვისტომო სამარცხვინო ბოძზე გააკრეს, ჩირქი მოსცხეს და იგი გამოაცხადეს სექტათ, რომელიც სისტემატიურათ ეწევა საუკეთესო ქართველი ახალგაზრდობის გაძევებას, ბოიკოტს და თვითმკვლელობამდიც მიყავს და ამ ჭორებს ისეთის დაბეჯითებით ავრცელებენ ზოგიერთები, რომ გეგონებათ მარტო ამათ იციან საქმის ნამდვილი ვითარებაო, მაგრამ საკმარისი იყო საქმეს სისწორით გავცნობოდით, ოდნავი ნათელი მოგვეფინა, რომ ამ ნათქვამის სრული სიყალბე ჩვენთვის აშკარა გამხთარიყო...

გაიძახოდენ და გაიძახიან დღესაც სამ თვითმკვლელობაზე და თითოეულ მათგანს აბრალებენ ქართულ სათვისტომოს; ჯერ ერთი ის, რომ განსვენ. ნ. ს—შვილი არ ყოფილა სათვისტომოს წევრი, იგი სულ სხვა წრეში ირიცხებოდა (კავკასიურ საზოგადოებაში) და სათვისტომოსთან მას არავითარი დამოკიდებულება არა ქონია, თავი რომანიულ ნიადაგზე მოიკლა ქალთან, რომელიც უყვარდა; მეორე განსვ. ამხ. გ. მ—ძე, თუმცა სათვისტომოს წევრი იყო, მაგრამ მის თვითმკვლელობაში არც სათვისტომოს და არც ამხანაგებს იოტის ოდენი წვლილი არ უდევს, მისი თვითმკვლელობაც რომანიულ ნიადაგზე მოხდა, რადგან იგი ვერ სცნობოდა შესაძლოთ მის განხორციელებას იმ იდეალურ სახით, როგორც თვით წარმოედგინა და რადგან საყვარელ არსებაზე აზრი ნელ-ნელა ეცვლებოდა... დარჩა მესამე, უკანასკნელი ტრაგიკული შემთხვევა საცოდავ დ. ჟღენტისა, რომლის თვითმკვლელობა მრავალმა, სამწუხაროთ, დემაგოგიურის და უსინიდისო მიზნით გამოიყენეს და მით შეურაცხყოფა მიაყენეს მიცვალებულსაც. დემაგოგები ამბობენ, თითქოს სათვისტომომ ვერ აიტანა ასეთი ენერგიული მუშაკის და მაღალი აზრების მსახურის სიმართლე და პირდაპირობა, ვერ იცნო მისი შრომა და ღვაწლი და განდევნაო... ეგ სრული სიყალბეა და უნიადაგო ცილის წამება პირველი იმიტომ, რომ სათვისტომოს მუდამ ყოლია და დღესაც საკმაოთ ბევრი ყავს საცოდავ, უდროოთ დაკარგულ დ. ჟღენტისთანა ენერგიული მუშაკი, კარგად მომზადებული და სერიოზული პირებიც, რომლებიც სათვისტომოს მიზანს წმინდათ ემსახურებიან და რომელთაც ღირსეულათ აფასებს სათვისტომოც; და მეორეც კიდევ ისა, რომ აწ განსვ. დ. ჟღენტი არავის გაუძევებია სათვისტომოდან, პირიქით, როცა მან გააცხადა, რომ დრო არა მაქვს ამხანათ ბიბლიოთეკის გამგეთ დავრჩე და საზოგადოთ სათვისტომოში ენერგიულათ ვიმუშაო, კრებამ მას ერთხმათ რამდენიმეჯერ სთხოვა—დარჩენილიყო ისევ და მას სხვებსაც დაახმარდენ ამ საქმეში; შემდეგ კრებაზე რამდენიმე პირიც კი მიუგზავნეს დაერუნებოდა ბიბლიოთეკარის თანამდებობას, რადგან ამ ფუნქციას მართლაც კარგათ ასრულებდა, მაგრამ მან მაინც უარი სთქვა დროებით და შემდეგ კი ისევ ვეცთებიო.

საზოგადოთ მისი პირადი ცხოვრება ვერ მოეწყო რიგზე, რადგან, როგორც ამას მისი ბიძის შვილი სწერს, უნუგეშო სიყვარულმა მწარე სამსალა შეასვა მას... სიყვარული იგი ობლათ რჩებოდა და ეს მას გულს უკლავდა და მის გულს ნაღველით ავსებდა; აი, ასეთ სულიერ კატასტროფის დროს, მან პირდაპირ შეუძლებლათ სცნო დროებით მაინც არ მოესვენა; მაგრამ ბუნებით მოძრავი და დაუზარებელი იყო იგი და მაინც ვერ ითმენდა და უკანასკნელ დღემდი ასე თუ ისე მაინც სათვისტომოსთან კავშირი არ გაუწყვეტია და ამხანაგებში ტრიალებდა მუდამ.

სრულ უსაფუძლო ცილისწამებათ მიმაჩნია, ზოგიერთების მიერ გავრცელებული ხმები—თითქოს დ. ჟღენტს ვინმე სდევნიდა და დასცინოდა.

ხუმრობა და დაცინვა სულ სხვა არის და, ვინც ამას ურევს, იგი ცილს სწამებს თვითონ მიცვალებულის სახელსაც. დათიკოს მიტომ ეხუმრებოდენ და ეოხუნჯებოდენ, რომ მისი სხვებთან დამოკიდებულება მშრალი და ოფიციალური კი არა, არამედ თფილი და მეგობრული იყო... მას ბოროტათ არაოდეს არავინ არ დასცინოდა, არამედ ახალგაზრდობა, სიცოცხლით სავსე, ლაღობდა, იცინოდა და ოხუნჯობდა დათიკოსთან ერთად. ყველამ იცოდა, რომ მას თვითონ უყვარდა სხვებზეც მასხრობა და მეგობრული ოხუნჯობა და ამიტომ მასთან, როგორც შორეულთან, რომელსაც ამ მხრივ უნდა ფორმალურათ მოპყრობოდენ, არავინ მიდიოდა... ვიმეორებ, ცილს ნურავის დასწამებთ, მას არაოდეს არავინ არ დასცინოდა; იგი უყვარდათ და მასაც სხვები უყვარდა და საცა მეგობრობა და სიყვარულია, იქ ,,პარდონებით'' არ ლაპარაკობენ, იქ ოხუნჯობაც და ხუმრობაც შესაძლო არის.

მაშ რა იყო მიზეზი ამ სიცოცხლით სავსე ახალგაზდის თვითმკვლელობისა? იკითხავთ თქვენ... უბრალო შემთხვევა, უმნიშვნელო რამ, რომელმაც ასეთი ტრაგიკული ფორმა მიიღო და უბედურებით დამთვრალო. ვინც დორპატის ქართულ სათვისტომოს მიერ არჩეულ კომისიის ანგარიშს წაიკითხავს, იგი მიხვდება, რომ დ. ჟღენტი საბედისწერო შემთხვევის სხვერპლი შეიქნა, ხოლო ვინც საქმის ვითარებას ცოტათ მაინც იცნობს, ის აშკარათ გაიგებს, რომ კარ. ბერიძის წერილი მეტათ ცალმხრივია და მას არც შეეძლო ობიექტურათ შეეხედა საგნისთვის, რადგან ძმის და თანშეზდილის დაკარგვა საშინლათ მოქმედებს ქირისუფალზე და მის ამონაკვნესს სულ სხვა ხასიათს აძლევს. სურათი სულ სადა და მარტივია: ნასვამმა დ. ჟღენტმა სადამოზე მეორე სუფრისაკენ ჭიქა გადაისროლა, ამით გულნატკენი წევრი მეორე სუფრისა შ—ძე მასთან მიდის და ინციდენტის ახსნას ითხოვს, უკანასკნელი მას უკმეხათ უპასუხებს, რაზეც შ—ძე არა კულტურულის საშუალებით, სილის გაწნით, უსწორდება. დ. ჟღენტი მას რევოლვერის სროლას დაუპირებს, მაგრამ, შემთხვევით, გამზავებელ იმნაძეს დაჰკრის, რომელიც მისი საუკეთესო ამხანაგია... როცა მას ცალკე გაიყვანებენ და ყურში ჩაცთება, იმნაძე დაიჭრაო, იგი ალბათ ჰრილობას სერიოზულათ სთვლის, წამოიძახებს: ,,მევე უნდა მოვირეცხო ეს ჩირქიო'' და გულში რევოლვერს დაიცემს!.. აი, სურათი თვითმკვლელობისა. დამეთანხმებით, იგი აფექტის, აღელვების და ალკოჰოლის გავლენის ქვეშ მოხდა, კეთილშობილმა ახალგაზდამ, რომელსაც სიჩქარე ახასიათებდა, ერთის წუთით არ აპატია თავის თავს უნებლიე შეცთომა...

და იგიც მოაკლდა სწორთ და მეგობართ სამუდამოთ; მწარეთ დაღონდა სათვისტომოს წევრები და გული ჩაწყდა თითოეულს, მაგრამ რაღა დარჩენოდა გარდა იმისა, რომ საყვარელ ამხანაგს ღირსეული გამოქვეყნება და უკანასკნელი პატივისცემა ხვედროდა მათგან წილათ. და ასეთ დროს მათ, თანაგრძნობის მაგიერ, ვკიცხავთ, უშვერათ და ტლანქათ ვაგინებთ, ვათრევთ და დამნაშავეთ სათვისტომო გამოგვყავს; ვივიწყებთ ყველა მის კარგ, ლიდებით ნაბიჯს და მის გასამართლებას და დასჯას მოვითხოვთ (იხ. ,,თემი'')... აი, ნიმუში ჩვენებური უკუღმართობა-უსამართლობისა!.. კმარა, ბატონებო! თუ თანაგრძნობას არ ვუცხადებთ და დახმარებას არ ვუწევთ, მძულვარებას მაინც რას ვერჩით? ამ ერთად-ერთ მომუშავე ქართველ სტუდენტთა წრეს, თუ არ ვეხმარებით, გულს მაინც რათ ვუცრუებთ და მწუხარების დროს კიდევ უფრო ვაასკეცებთ მათ მწუხარებას?.. ამაზე მეტი ველურობა კიდევ იქნება?..

ჭადარა ედორტი.

1913 წ. ქუთაისი.

ომი ბალკანეთზე

დეპეშები.

ზორტ-საიდი. მოვიდა კრეისერი „მეჯიდი“. მთავრობამ გემს წინადადება მისცა იარაღი აიყარეან და ნავსადგურიდან გადიო.

სტამბოლი. ოფიციალურათ იუწყებიან: 5 იანვარს ლემნოსის მახლობლათ ზღვაზე ბრძოლა მოხდა, რამდენიმე ყუმბარა მოხვდა საბერძნეთის გემებს. სამი საათის ბრძოლის შემდეგ, ოტომანის ფლოტი დარდანელში დაბრუნდაო.

ათინა. სამოსიდან დეპეშით იტყობინებიან—ნათლიღების დღესასწაულის გამო როდოსის მახლობელ სოფლებში ხალხი კუნძულების საბერძნეთთან შეერთების სურვილის აღსანიშნავათ მანიფესტაციის გამართვას ლამობდა. იტალიის მთავრობამ მანიფესტანტებს ხელი შეუშალა და ჯარები დაგზავნა, რათა ხალხი ზღვის ნაპირისკენ არ გაეშვა წყლის კურთხევაზე დასასწრებლათ. ხალხმა მთავრობის ასეთ საქციელს პროტესტი გაუცხადა. ჯარმა ხალხი გაფანტა. გენერალმა აბელიომ სასტიკათ აუკძალა ამ ინციდენტის დახატვა.

ვენა. ბულკოვინში მცხოვრებმა სომხებმა ბერტჰოლდს მიმართეს თხოვნით უკანასკნელათ — ოსმალეთში სომხების ქლეტა მოსპეთო.

სტამბოლი. ამ დღეებში ხონთქრის სასახლეში გაიხსნება დიდი ვეზირის თავჯდომარეობით საერო კრება. კრებაზე მიწვეულია მემკვიდრე პრინცი, დამალული სამხედრო და სამოქალაქო პირები. სხდომა საიდუმლო იქნება. დიდი ვეზირი მოხსენებას შეიტანს ოსმალეთის ახლანდელ პოლიტიკურ, სამხედრო და ფინანსიურ მდგომარეობაზე.

ლონდონი. რეიტერს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ ბულგარეთ-რუმინიის სადაო საკითხი კარგათ გადაწყდა, რადგან ბულგარეთმა, რამდენიმე ნაწილი თავის ტერიტორიისა დაუთმო რუმინიასო.

დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

საზღვარგარეთი.

ურგა. ხუტხუტა მონგოლეთის გამოყოფაზე ამბობს—ახლა ლაპარაკი მეტია ჩინეთ-მონგოლეთის გაერთიანებაზე, რადგან თვით ჩინეთი მეტათ დიდ საფრთხეშია და მას შინაგანი, ჩრდილოეთ სამხრეთ პროვინციებს შორის განხეთქილება მოელისო. რუსეთ-მონგოლეთის ხელშეკრულობა ჩვენ მონგოლებმა შევკარით სრულიად დამოუკიდებლათ, რათა მონგოლეთის დამოუკიდებელი არსებობა და გავითარება გაგვემტკიცებია და ჩინეთის უკანონო ცილობა შეგვეყენებიაო.

ხუტხუტა აფრთხილებს იუნშიკაის მონგოლეთის საკითხის გადაჭრა ძალით არ მოინდომოს, თვარა განსაცთელი მოელის მას, რადგან გამარჯვება და დამარცხება ადამიანის სურვილებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ღვთისაზეო.

ტოკიო. მოხდა მრავალრიცხოვანი კრება სეიუკაისა და კუკომინტოს ჯგუფისა, სეიუკაიმ რეზოლუცია გამოიტანა კონსტიტუციის დაცვის შესახებ, თანახმათ იმპერატორის სურვილისა, რაც მან ტახტზე ასვლის დროს გააცხადა. საიონძიმ განმარტა: კაბინეტი სამსახურიდან იმიტომ გავიდა, რომ სამხედრო ძალებმა მათ მიერ შემუშავებულ წესდებას ხარჯის შემცირებაზე წინააღმდეგობა გაუწიესო. კუკომინტომ დაადგინა: პარტია თავის მიზნათ ისახავს კლანებთან ბრძოლას და კონსტიტუციის დაცვას რომელიც კაცურამ დაარღვიაო.

პარლამენტმა კაცურას კონსტიტუციის დამხობაში ბრალი უნდა დასდვას.

პარლამენტის სხდომები შეწყდება, სანამ მთავრობა ბიუჯეტს შეიმუშავებდესო.

„ნიცინიცა“ შენიშნავს: კაცურას განზრახვაა პარლამენტის დათხოვნით ისარგებლოს და თავის საკუთარი პოლიტიკური პარტიის მოსაწყობათ ოპოზიცია მიიმხროსო.

ურგა. როგორც მონგოლეთის წყაროებიდან იუწყებიან ტიბეტ-მონგოლეთის ხელშეკრულება ასეთი ყოფილა: დალაილამა სცნობს ხუტუხტას მონგოლეთის ხალხის ბრძანებლათ გამოცხადების ფაქტს და უკანასკნელს ბძანებლობას ულოცავს. სამაგიეროთ ხუტუხტაც თანახმაა დამოუკიდებელი ტიბეტის სახელმწიფოს დაარსებისა და მის ბძანებლათ დალაილამას გამოცხადებისა მონგოლეთსა და ტიბეტს ევალება ხელი შეუწყონ ერთმანეთს ბუდიზმის გავრცელებასა დაუთიერთს დაეხმარონ მთელი საუკუნოების განმავლობაში. აგრეთვე თავის ქვეშევრდომების მფარველობა სარწმუნოების გამტკიცება და ვაჭრობის გავრცელება უნდა დაისახონ.

რ უ ს ე თ ი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანების ძალით 17 იანვარს დანიშნულია კადიგრაბოვის მაგივრათ სათათბიროს ახალი წევრის არჩევა.

შავიქვის მრეწველთა საყურადღებოთ.

აგერ ოცდახუთი წელიწადზე მეტია, რაც ჩვენში შავიქვის მრეწველობა სწარმოებს და ამ ხნის განმავლობაში ზევრგვარი მდგომარეობა განიცადა ადგილობრივმა მრეწველებმა. იყო დრო, როდესაც ქართველი მრეწველი ბატონპატრონი იყო მთელი მრეწველობისა, ხოლო შერჩენით კი ამგვარი მდგომარეობა ვერ შეირჩინა და ვერც უნარი გამოიჩინა ფართოდ და საფუძვლიანათ დაეყენებინა საქმე. მიზეზი ამ გარემოებისა ბევრგვარი იყო, ხოლო უმთავრესი კი ჩვენი შეუგნებლობა და გამოუცთელობა. ამ ჩვენი შეუგნებლობისა და გამოუცთელობის შედეგი გახდა ის, რომ ჩვენი ბატონ-პატრონი მრეწველები მონა მორჩილები შეიქნენ და ეს უკანასკნელი ხუთი-ექვსი წელიწადი, განსაკუთრებით მითია აღსანიშნავი, რომ ყოველგვარ ზნეობრივსა და ნივთიერ დამცირებას, დამცირებას მონისას, ყმისას განიცთიან და დღესაც მას დასასრული არ უჩანს. ეს ჩვენ, წვრილმა მრეწველებმა კარგათ ვიცით ვინაიდან ამ მდგომარეობის პირამდი სავსე ფიალა ძირამდი შევსვით და ყოველი ჩვენგანი მ გაჭივრებასა და დამცირებას გრძნობს. გამოცთილებამ დაგვანახა, რომ სხვისა იმედით ცხოვრება, დამამცირებელიც რომ არ იყოს, შეუძლებელია. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთელი ქონება ერთისა და ორის ხელში გადადის და დღეს თუ ხვალე ჩვენი ადგილობრივი მრეწველობა მოისპობა და ჩალის ფასათ ჩაიგდებენ ხელში ჩვენს საცხოვრებელსაც. ასე რომ, თუ აქიდან გამოსავალი გზა ვერ მოვიძიეთ, თუ ჩვენს თავს ჩვენვე არ ვუშველეთ, აუცილებელი მოსპობა მოგველის. დღესდღეობით კიდევ შეიძლება კაცმა რამე მოაგვაროს. განწყობილება მრეწველობისა იმგვარია ჯერ კიდევ, რომ საფუძველს გვაძლევს გავამაგრდეთ, რის ნიადაგიც არის, თუ კი ყურებს არ დავიცავთ, მხედველობას არ მოვისპობთ და გონებას არ დავიხშობთ. გავითვალისწინოთ უმთავრესი ჩვენი ნაკლი და უნაკლულობა.

პირველ ყოვლისა ჩვენა ვართ წვრილი, დაქუცმაცებული მამულების პატრონი, ასე რომ ცალკე თითოს დღევანდელ გარემოებათა მიხედვით, წარმოების მოწყობა ჩვენდა სასარგებლოთ შეუძლებელია და ეს ჩვენი დაქუცმაცება და განკერძოება საუკეთესო იარაღია ჩვენი მოწინააღმდეგეების ხელში ჩვენსავე წინააღმდეგ. მეორე ჩვენი უსახსრობისა და უენობის გამო უმეტეს შემთხვევაში ჭიათურის სადგურს ვერ გავსცილებივართ და ეს გარემოება ქმნის ისეთ „ტიპებს“, რომელნიც არც დამმუშავებელი არიან არც მომხმარებელი მადნისა და მთელი მოგება კი მათ ჯიბეში მიდის და ჩვენც ძალაუნებურათ მათი ბძანებლობის მორჩილი ამსრულებელნი ვართ. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ყოველ კომერციულ საქმეს ესაჭიროება კრედიტი და დიდიც. ჩვენ კი ცალცალკე არც ნდობა გვაქვს და კრედიტის გახსნაც ეძნელებათ საკრედიტო დაწესებულებათ, რადგან ჩვენი „წვრილი“ მამულები და ქვის საწყობები კრედიტს (საკმაოთ:) არ უზრუნველყოფენ. ყველა ამგვარი ნაკლულოვანება და მრავალი სხვაც, რომელნიც ზემოხსენებულიდან სავსებით გამომდინარეობს ნათელყოფენ, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი ცალცალკე, განკერძოებით მოქმედება. ხოლო საქმეთა გარემოება და ვითარება გვიჩვენებს, რომ საქმე არც თუ ისე უიმედოა, რომ არა მოეხერხებოდეს რა. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თუმცა ბევრი და საუკეთესო მამულები გადავიდა სხვილ მრეწველთა ხელში, მაგრამ ჩვენს ხელში დარჩა კიდევ არა ნაკლები ორი მესამედისა, რაც უდიდეს ჩვენს იარაღათ უნდა ჩაითვალოს, თუ კი ჩვენ ფხას გამოვიჩენთ და უნარი გვექნება, გამოვიყენოთ იგი როგორც რიგია. გარდა ამისა გამოცთილებაც გვაქვს, რაც საუკეთესო საფუძვლათ უნდა ჩაითვალოს იმ საქმისა, რომლის ასაღორძინებლათ ნიადაგი მზათ არის,—გამოცთილება, რომელიც ჩვენ მეტათ ძვირათ დაგვიჯდა და მისი წყალში გადაგდება აღარ უნდა ვიფიქროთ, დღეს ვიცით და კარგათ გვახსოვს ყველა ის შეცთომა და დაუდევრობა, რაც მიზეზი გახდა ჩვენი დამარცხებისა და მრწამს, რომ მომავალში ავიცთენთ მათ. დროა, ჩვენი საკუთარი ინტერესები შევიგნოთ და ენერგიული ერთსულოვნებით საქმეს შევუდგეთ. ჩვენ ხელთ საკმაო ძალაა, საკმაო საწარმოვო იარაღი თუ ჩვენივე ხელით და ჩვენის ნებით მას მტერს არ ჩაუგდებთ. ჩვენს ძალას საერთო მოქმედება წარმოადგენს, ჩვენი მეტოქეობისას კი ჩვენი უძლურება. დავაგდოთ დაუდევრობა, განკერძოება, დავაგდოთ ჩვეულებრივი არჩევანი „დღევანდელი კვერცხისა ხვალინდელ ქათამზე“, ამით საშვილიშვილო საქმე იღუპება და მივსცეთ ხელი ერთმანეთს, შევკრათ პირი, რომ მეტი ძალა ქონდეს ამხანაგობას ვიდრე ამხანაგს, საზოგადოებას ვიდრე პიროვნებას, მთელს და არა ნაწილს და ვნახავთ, რომ საქმე ისე გამოტრიალდება, რომ დღევანდლამდის დამსახურებული წყევლა-კრულვის მაგიერ ჩამომავლობა მადლობას შემოგვითვლის. საჭიროა მეტი სიფრთხილე, მეტი ერთიმეორის ნდობა, მეტი განსაზოგადოებრიობა!

შემამუღე მრეწველი.

ზემო—იმერეთი.

ს. დიმი. ამა წლის 4 იანვარს ადგილობრივ სასწავლებლის შენობაში მოხდა წლიური კრება დიმის საკრედიტო ამხანაგობის წევრებისა. კრებაზე, 264 წევრთაგან გამოცხადდა 108 წევრი. საბჭოს თავჯდომარემ ღვდელმა მიხეილ ჩიქვინიძემ კრება გახსნა და თავჯდომარეთ ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფაი
რისა და ფაიანსის ჭურჭელი: საუცხოვო გ
ლისა და მინის საქონელი, საუკეთესო
ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე
ემალ გამოვლებული, ჭურჭლეული თეთრი

მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მ ყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

მიღებულია ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმო-დგენელი მთელ ამიერ
კავკასიისა სავაჭრო სახლი

ი. გოგიელოვის შვ-ბი ქუთაისში

9

ხმათ აირჩიეს პატივცემული საპატიო მზრუნველი ამხანაგობისა ღენერალი მიხეილ ჩხეიძე. კრებამ მოისმინე და დაამტკიცა წლიური ანგარიში ამხანაგობისა. ამხანაგობის გახსნის დღიდან ე. ი. 1912 წ. 8 აპრილიდან, ვიდრე 1912 წ. 31 დეკემბრამდი ამხანაგობას შემოსავალი ქონია 18850 მ. 32 კ. გასავალი კი—17311 მ. 94 კ. პირველი იანვრისათვის 1913 წლისა რჩება ნაღდი 1538 მ. 38 კ. ამხანაგობას მოუგია საანგარიშო წელში 1050 მ. 81 კ. აქიდან გასავალი ქონია 749 მ. 14 კ. (გადახთილი %, ქონება და სხვა ხარჯები) წმინდა მოგება დარჩენია ამხანაგობას 301 მ. 67 კ. ეს ფული კრებამ გაანაწილა ამნაირათ: 100 მან. გადადვა სათადარიგო თანხის შესადგენათ, 150 მ. ძირითადი თანხის შესადგენათ. დანარჩენ 51 მ. 67 კ. კრებამ ერთდროულ ჯილდოთ 30 მან მისცა ანგარიშის მწარმოებელს, გეგეშიძეს და თან მადლობა გამოუცხადეს სამაგალითო ანგარიშის წარმოებისათვის და მუყაითი შრომისათვის. 10 მან. ხაზინადარს ი. ხარაბაძეს და 11 მ. 67 კ. გადადვა დიმის ორკლასიანი სასწავლებლის შესაწევათ. კრებამ დაამტკიცა აგრეთვე 1613 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც უდრის 300 მანეთს. მისვლა-მოსვლის, წიგნებისა და სხვა ნივთების შესაძენათ, ფოშტის და სხვა ხარჯებისათვის 120 მ. ანგარიშის მწარმოებელს წელიწადში 120 მ. და 60 მ. ბინისა, გათბობა-განათებისათვის და მოსამსახურისათვის. დასასრულ კრებამ ამოირჩია გამგეობაში ახალი წევრი კოსტა კვინიხიძე და საბჭოში ალექსანდრე ივანეს ძე ბურჭულაძე და მაქსიმე მაჩიტაძე. ამხანაგობის გახსნისას 1912 წ. 5 აპრილს ამხანაგობას ყავდა 36 წევრი: წლის ბოლოს წევრთა რიცხვი 274-ია.

დამსწრე.

ლეჩხუმი.

სოფ. ტვიში ეს სოფელი ქუთაისიდან 40 ვერსის მანძილზეა; ეკუთვნის ს. დერჩის საზოგადოებას. საზოგადოთ, მოგეხსენებათ ლეჩხუმი გურია-ოდიშთან შედარებით ყოველი მხრით ჩამორჩენილი კუთხეა. მაგრამ აღსანიშნავია აქ ერთი ფაკტი, რომელმაც სხვა უბედურებასთან ერთად ამ სოფელში ღრმა ფესვები გაიდგა. მიბარდა რა მიწას მოხუცებული თაობა, სოფელში წამოიჩიტა ახალგაზდობა ორივე წოდებისა და უგვანო საქციელით მთელ სოფელს იკლებენ. მათ შორის კინკლაობა, ჩხუბია, რასაც ხშირათ სისხლის ღვრაც, სხვერპლიც... მოყვება. არ გაივლის ისე დღესასწაული, რომ არ გამოჩნდეს ერთერთი უკუდო წამოჩიტებული აზნაური, ასტეხს შფოთს, ამას სხვებიც გაყვებიან, ჩაითრევენ გლეხების ახალგაზდებსაც და ამას თან მოყვება ოჯახის ზარალი ყოველი მხრით.

ეს სოფელი წარმოადგენს თითქოს სულ სხვა ქვეყანას, განცალკევებულს, რომელსაც გაწყვეტილი აქვს კულტურულ ცენტრთან ყოველივე კავშირი. ჩამწყვდეული არიან უზარმაზარ კლდეებში ისეთ ცხოვრებას ატარებენ და ისეთი რამეები ხდება იქ, რის მზგავსი იმერეთის სხვა, სოფლებისთვის, დარწმუნებული ვარ, უცხო იქნება.

თუ ისწავლის აქ ვინმე ეს უსათუოდ უფრო იმიტომ, რომ სხვა დაჩაგროს, თვალები წამოაყრევინოს. სოფლის გამანათლებელს და სწორ გზაზე დამყენებელს სოფლისავე ღვდელ-მასწავლებელი უნდა შეადგენდეს... და სწორეთ ამ მხრით უიღბლო და დაჩაგრული შევიქენით და ეს არის მიზეზი ჩვენი უბედურობისა.

განთიანი.

* * *

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ერთხელ კიდევ, უკანასკნელათ იძულებული ვარ საზოგადოების ყურადღება მივაქციო თამაკონის შკოლის მდგომარეობაზე. ჩემი წერილზე ბ-ნ სალარეიშვილი „იმერეთის“, მე-63 №-ში იძლევა მეტათ ბუნდოვან პასუხს. ჩვენ პირათ ნახული და ხალხისაგან გაგონილ საბუთების ძალით ბ-ნ გამგეს შევეკითხეთ: თუ სად მადიოდა შკოლის შემოსავალი? რატომ არ მიიღო ბ. გამგემ საზოგადოების თხოვნა და შკოლის შემოსავალ-გასავალი არავის გააცნო? ამ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის მაგიერ ბ-ნ სალარეიშვილი მეჭორე კორესპონდენტს მიძახის, იმისათვის, რომ ხალხის საბუთიანი ჩივილი პრესამდი მივიტანე.

წერილის ბოლოს ბ-ნ სალარეიშვილი ამბობს:—„ამ წლის მიწურულში სამზრუნველო სხდომა იქნება და საბუთებით ხელში ვეცთებით დავამტკიცო, რომ შკოლაში არავითარ ბოროტმოქმედებას ადგილი არ აქვსო...

ჩვენც ამის მონატრული ვართ და ველით.

ნახურციდრელი.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ ნება მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშვალებით სამედიატორო სამართალში გამოვიწვიო ბ. ბ. ვაშაკიძე და „ბანპარიძე“. მედიატორებათ ვასახელებ ბ. ბ. ლ. ტულუშს და ბ. ლლონტს, მოპასუხეებმაც დაასახელონ ერთი კვირის ვადაში მედიატორები. წინაამდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებ აღვნიშნო ის მიზეზები, რითაც ვაშაკიძემ იარაღათ გამოიყენა „ბონპარიძე“ და ორივემ ერთად ჩემთან პირადი ანგარიშის გასასწორებლათ დაარღვიეს წესი; პირველმა ყომარბაზობისა, და მეორემ კორესპონდენტობისა.

პატივისცემით **ს. დ. ორაგველიძე.**

ღია წერილის პასუხი ბ-ნ კოწიას.

ბ-ნო კოწია! მიუხედავათ იმისა, რომ „ტინტილას“ დღემდი არაფერი უცნობებია ჩემთვის და არ ვიცი არც მისი ვინაობა და არც საქმის შინაარსი, აგრეთვე ჩემი მდგომარეობა ნებას არ მაძლევს დრო ვიშოვო ასეთი მოვალეობის ასასრულებლათ, ბოდიშს ვიხოვ, როგორც თქვენთან აგრეთვე ბ. „ტინტილასთან“ და კადნიერებათ ნუ ჩამეთვლება, რომ უარს ვაცხადებ „ტინტილას“ რწმუნებულობაზე.

ს. დ. ორაგველიძე.

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

მიიღება ხელის-მოწერა
ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნალ
„კლდე“-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10 შ. საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წლ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურათ.

განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.



ფილიპე ნ. ჭელიძის
შამპანიურ
„თამარ მეფე“ და
„კოლხიდა“


ОТЪ МИНИСТЕРСТВА ЗЕМЛЕДѢЛІЯ И ГОСУДАРСТВЕННЫХЪ ИМУЩЕСТВЪ
ЗА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ

ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა
ქუთაისში მიცანას ფირმა კისრულობს
ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.
პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.
მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე.
მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

КНИГИ изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариф., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур., 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Вашей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высылаю безплатно. Выписывать исключ. по адресу: Бѣлая-церковь Кіев. губ., С. А. КОЗЛОВСКОМУ.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში ააშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოს
ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ
ძმ. ე. და პ. საკაშვილების
სავაჭროს, ქუთაისში.
(ზუბალის ქუჩა საკუთარი სახლი).
იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორკა“
„დუხოვკით“, სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ
ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები
ლიან ცოტა არის მოსული.

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, სობორთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები, ვე-
ლოსიპედები, საქსოვი და საკერავი მან-
ქანები, გრამოფონები და მათი მოწყობილობა-
ბა, [illegible], სა-
[illegible]
ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

მუავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის
ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

ვაჭრობასა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საკომერციო ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა, თფილისი, მიხეილის პროსპეკტი, სახლ
24—4, ტელ. 976.
სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის
თავრებას შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაკტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებ
ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში) Muster comtoir-ში მასალები რეალური
რებიდან აიღება:
საგნები: ა) სავალდებ: 1) ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული,
რიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3)
რი ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციულ
რესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორა, ხელის გასწორება.
სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაკტილოგრაფია (რემინგტონ
სხვადასხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
ბევრი მსმენელის მოგროვების, გამო იხსნება ახალი პარალელური განყოფი
რომელიც ძალიან ხელსაყრელია ქალაქ გარეშეთათვის.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულათ. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და
საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ
ველებს უფასოთ კურსების სადგომიდან, კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობს სავაჭრო
აჭრო სახლებში ალაგის საშოვნელათ მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო, ამათგან 42
თველი.
თხოვნები მიიღება 1 იანვრიდან.

ელექტრო-საბეჭდავი ზერაძისა და ქარნაუხოვის, ქუთაისში.